№ 24 15 ივნისი

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲞᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

1909 წ.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ექვ

ᲡᲝᲛᲔᲗᲘ ᲥᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲚᲕᲐ

ჩვენი მეზობლების, სომხების ყოველი დღესასწაული, რომელიც ჩვენთვის საზარალო არ არის, ჩვენც სადღესასწაულოდ უნდა მივიმჩნიოთ...

ასეთი დღესასწაულია სომეხ კათალიკოზის ჩამოსვლა.

ქართველებმა ეკლესიის თავისუფლება დაკარგეთ. უწინ ჩვენც გვყავდა საკუთარი კათოლიკოზი და ჩვენი ეკლესიის შინაურ საქმეებში ვერავინ ვერ ერეოდა... ეს უფლება სინოდმა წაგვართვა და ახლა თავისუფალ, დამოუკიდებელ კათოლიკოზის მაგიერად ხოლმე თავის ხელქვეითა მოხელე ეპისკოპოზ-ეპარხოსებს გვიგზავნის.

სომეხ კათოლიკოზის ჩამოსვლის გამო სომხების დღესასწაულს რომ ვუყურებთ, ძალა უნებურად გვახსენდება ჩვენი კათოლიკოზობის მოსპობა...

სომხებისათვის თავისუფალ ეკლესიას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს: ეკლესია აერთებს ყველა სომეხს: სადაც უნდა იყოს გადავარდნილი სომეხი, იგი თავის ეკლესიასთან კავშირს არასოდეს არა სწყვეტს, რადგანაც ამით არა სწყვეტს კავშირს თავის ეროვნებასთან. საეკლესიო საქმეების მოვლა ყველა სომეხს თავს უყრის და საშუალებას აძლევს საერთო ჯირ-ვარამზე ერთთმანეთს თათვლი აზრი გაუზიარონ. სამრეველო სასწავლებლები ეროვნულ სახეს იღებენ, რადგანაც მრეველს, სომხობას, უფლება აქვს მათი გამგეობა საკუთარ ნებაზე მოაწყონ.

საეკლესიო საქმეების ფარგალში სომეხი თავისუფალია, თავასუფალია იმდენად, რომ ეს თავისუფლება ბევრად გაგავსხენებს ეროვნულ ავტონომიას. აკი ამიტომ გოლიცინის ღროს ასეთის სისასტიკით მოკიდა მთავრობამ ხელი ამ თავისუფლების მოსპობას, აკი ამიტომ სომხებმა თავი გამოიდეს და აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს მთავრობას,—ეს ბრძოლა მათთვის აუცილებელი იყო, ამ ბრძოლით მათ უნდა დაებრუნებინათ წართმეული საეკლესიო თავისუფლება,—წართმეული ეროვნული თავისუფლება!..

უკანასკნელი კათოლიკოზი ხრიმიანი მეტად პატიოსანი, მაგრამ სუსტი კაცი [illegible] სიათის პატრონია და ეს ხასიათი მას სჭირდა, რადგანაც სომხობის საქმეები მეტად აწყვლია და თავრობა სომხობის საწინააღმდეგო გზას ისევე ადგება. ამას ბრძნობს თვით ახალი კათოლიკოზი და ამიტომ კერძო ლაპარაკში ხშირად ამბობს,—სხვა საქმეებს არ ვიცი და ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას და ჩვენი ერის უფლებებს კი უთუოდ დავიცავო უცვლელად.

როგორც გადმოგვცემენ, ახალი კათოლიკოზი დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს და ახლავე აგუღლიანებს შეძლებულ სომხებს, სასწავლებლების დაარსებისა და შენახვისათვის თქვენი ფული არ დაიშუროთო.

სომხები დიდი იმედებით შესცქერიან თავიანთ ახალ წინამძღოლს, მისი ჯეუოსა და მხნეობისაგან ელიან ხსნას,—ეს ჯეუა და ეს მხნეობა საჭიროც არის ახლა, რადგანაც თავრობა ცდილობს სომეხ ეკლესიის ახლანდელ უფლებების შეკვეცას ისე, როგორც ერთ დროს ქართულ ეკლესიის უფლებები შეკვეცა.

ამ უბედურების თავიდან აშორებას გულწრფელად ვუსურვებთ სომხებს.

ს.—

ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲨᲘ

სათათბიროს მეორე სესსია დასრულდა; 15 ოქტომრიდან დაწყებული 2 ივნისამდის რა გააკეთა მან, რა შემატა რუ ეთს, რა სარგებლობა მოგვიტანა, ჩვენ, საქართველოს?

წინანდელ სათათბიროებთან შედარებით ახლანდელმა დეპუტატებმა რიცხეთ ბევრით მეტი კანონ-პროექტი განიხილეს, მაგრამ ამ კანონ-პროექტების უმეტესობა ისეთი წვრილმანი და უმნიშვნელოა, რომ სახსენებლადაც არა ღირს.

უფრო მსხვილმან კანონ-პროექტებს რომ დავაკვირდეთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ სათათბიროში გამატონებულმა 17 ოქტომრის სახელით მომქმედმა პარტიამ ხელნგეხულ მანიფესტში გამოცქმულ პრინციპების განხორციელება არ მოისურვა ან ვერ მოახერხა: მხოლოდ სტარო-ობრიადცების შესახებ მიღო მან სვინოდისის თავისუფლების მოშნიეგელი კანონ-პროექტი... ესეც იმიტომ, რომ სტაროობრიადცები „ყოველთვის მთავრობის დიდ ერთგულებას იჩენდნენ და ახლა დაეჯერებით ითხოვდენ მათ შეპობას... უარის თქმა ოქტომბრისტებს დაუკარგავდა სახელს სწორედ იმ წრეებში, სადაც მათ ყოველთვის მომხრეები ეყოლებოდათ. ამ საკითხში ოქტომბრისტებმა ეს ერი ერეოდა ... ეს ერი ... ეს ... ეს ... ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობის პასუხის მუხლ-მუხლად განხილვას. ერთხმად მიღებულ იქმნა კომისიის დასკვნა საქმის წარმოების შესახებ, სადაც ნათქვამია: ბანკის საქმეები დაუნიმძიავი და ზონარ გაფურცელია; სპარუთის ქალაღები არაა საქმეებში ჩაკერებული; სესხის გაცემის შესახებ შედგენილი ჟურნალები ხელმოუწერელია გამგეობის მიერ; საკარო ფურცლები უკანონოდაა შედგენილი; შეფასების აკტები ხშირად ხელმოუწერელია; საქმეებში არაა ცნობა იმის შესახებ, თუ სად ინახება მსესხებელთაგან წარმოდგენილი სპუთები; ბევრი მამული პლანის გადაღებლადაა დაგირავებული და სხ. კრებამ დაავალა ზედამხედველ კომიტეტს, მიიღოს ზომები, რომ შემდგში მაინც შესესებულ იქნეს საქმის წარმოების ხსენებული ნაკლულოვანებანი.

ერთხმადვე მიღებულ იქმნა კომისიის დასკვნა გაყიდული მამულების შესახებ. ამ დასკვნიდანა სჩანს, რომ „ბანკის მიერ გაყიდული მამულები, რომლის გაყიდვის პირობანი მყიდველთ დაუღღეფიათ, არა თუ არ მიუღია ბანკს თავის გამგეობის ქვეშ და არ უარგებლია იმ მამულებით, არამედ ბანკზე დარჩენილ მამულების სიაშიც კი არ შეუტანია. ამ მამულების ვადიანი გადასახადები ბანკში არ შედის; გაყიდის დროს ამ მამულებზე დადებული ვალი დღესაც გაუსტუმრებელია, და გამგეობა არავითარ ზომას არ ხმარობს იმათ „ლიკვიდაციისათვის“. ამგვარად მამული რჩება ისევ მყიდველის ხელში, რომელიც მუქთად სარგებლობს მით.

ამგვარადვე ერთხმად მიიღო კრებამ კომისიის დასკვნა „მისაღები აკტების“ შესახებ. კომისია აღნიშნავს, რომ „ბანკში მიღებული მამულების მომტებული ნაწილისათვის მისაღები აკტები არ არის შედგენილი“, რომელშიაც უნდა ნაჩვენები იყოს სხვა და სხვა საკრო ცნობები. ამის გამო ბევრ ბანკის მამულს სხვები ეპატრონებიან, ბევრი სულ იკარგება და სხ. მაგალითისათვის მოყვანილია ეიღაც დავით ქალაქთაროვის 13 ნაკერი სოფლის მამული, რომელიც დარჩენია ბანკს 1893 წელში. ამ ადგილებიდან 11 ნაკერი უგზო-უკვლოდ დაკარგულა; დარჩენილი მხოლოდ ორი უვარგისი ნაკერი, რომელიც არავითარ შემოსავალს არ აძლევს ბანკს. კრებამ დაავალა ზედამხედველ კომიტეტს, მიიღოს ზომები, რომ შემდგში მაინც ეს ფაი მაგალითები აღარ გამეორდეს და ბანკზე დარჩენილი მამულები ჩაიბაროს

„ეს არ მესმის, ეს არ მესმის!“
ვეზიერებმა მურვანს ჰკადრეს:
„საქართველო აჯანყდება,
„თუ შენ, მეფევ, დასწრაფებით
„ეხლავე არ დაგვრთე ნება,
„თვითეულ ქართველს აღუთქვათ
„მისი მოძმისვე ქონება...
„ისე აწყვეტენ ერთმანეთს—
„ზღაპრათ არ გაგიგონება!“
ღიმმა გადაჰკრა მურვანსო:
„ჰო, ეს მესმისო, მესმისო!“

თ. მაგმაძე.

ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ

(კოსტა-ბასუნა)

ᲒᲐᲛᲘᲜᲐᲗᲐᲒᲔᲑᲐ. ნება მომეცით პატივცემულო ქალბატონო სახლამდის მიგაცილოთ.

ᲥᲐᲚᲘ. დიდი სიამოვნებით, მაგრამ... სახლში, რომ არ მივდივარ?

* *
*

ᲜᲘᲜᲐ. თქვენ სადა სცხოვრობთ?

ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. იუზბაშევის ქარხანასთან.

ᲜᲘᲜᲐ. იუზბაშევის ქარხანა სად არი?

ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ჩვენს პირდაპირ.

* *
*

ᲛᲘᲡᲮᲣᲠᲘ. უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ ბარიშნა ბრძანდებით თუ ქმრიანი?

ᲥᲐᲚᲘ. ეჰ! ორივესაც ოვბებრდი, ნეტავი ერთი იშნაირი ვინმე აღმოჩნდეს, რომ ახალი სახელი გამომინახოს.

* *
*

ᲕᲐᲜᲐ. ლიზა, ნუ თუ აქნობამდის შენს დოყლაპია ქმარს, არ მოპეზრდი?!

ᲥᲐᲚᲘ. საკვირველია ღმერთმანი, თქვენ გეგაკვრებთ და თქვენი ცოლი კი ყოველთვის ჩემი ქმრის ქებაშია? რატომ?!!

ᲕᲐᲜᲐ. ? ? ?

* *
*

ᲛᲐᲒᲐᲚᲘ. ემაწვილო, თქვენ არაფრის დარდი არ უნდა გქონდეთ, რადგან მაგნაირი ყოველ ღირსებით სავსე ცოლი გყოლიათ.

ᲨᲣᲢᲘᲗᲘ. ეგ ყველა კარგი, მაგრამ... კაცის ენუტივით რომ ყოველ დღე-ღაუკან დადგეს, შენის აზრით ეს კი „დარდი“ არ არის?...

* *
*

ᲐᲥᲐᲜᲘᲨᲘ. სხვა ბიჭო! რასა იქ და როგორ ხარ! ახალი ხაბარი არაფერი იცი? კიდევ უსაქმოთ დაყიალობ? რატომ ისაპანახს აღარა ჰყიდი? ვერის ბაღების თავი რად დაანებე?

ᲨᲐᲥᲠᲝ. რა დროს ისპანახია, კაცო „არტისტობა“ შევისწავლე და ეხლა მინდა, ულვაშები გავიპარსო.

ᲡᲪᲔᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ
(ᲕᲣᲧᲓᲕᲜᲔᲚ ᲛᲐᲛᲐᲫᲔᲚᲘ)

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ. ᲡᲐᲡᲐᲠᲗᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲛᲘᲡᲮᲣᲠᲘ. ᲠᲐᲡᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲗᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.

ᲛᲘᲡᲮᲣᲠᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲗᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ჭირდა საქმე, აღარ გვინდა გადასახლებაო, როგორც გვიწვალებია, აწიც ისე ვიწვალებთო და შვილებმა რაც უნდათ ისა ჰქნანო!..

ქართველი ინტელიგენცია ვალდებულია ჯერთვანი ყურადღება მიაქციოს რაჭველების სავალალო მდგომარეობას. რაჭველები ისეთნაირად არიან შეეწროვებული, რომ აწერა ყოველად შეუძლებელია, მაგ. ზემო რაჭის შემდეგი სოფლებია, რომელიც სულ ნაყიდი ჭირნახულითა ცხოვრობს: ღები, 300 კომლი, აქ ცხოვრება გაჭირვებულად შეუძლია მხოლოდ 80 კომლს და დანარჩენი 220 კომლი გადასასახლებელია (აქედან სალიგვერდას და ნალჩიკში გადასახლდა 13 კომლი); ჭირია 150 კომლი, ადგილია 50 კომლისთვის, დანარჩენი 100 კომლი გადასასახლებელია, (გადასახლდა უკვე 10 კომლი); ძმლევი, 50 კომლი, სულყველა გადასასახლებელია, რადგანაც წვიმის დროს მთელი ზედა ნაპირი მიწისა მიაქვს წ ინის წყალს და ბრიონის ჯალებში თიშავს. გომი, ჯინ-ჭვისი, ნაკიდი, ჭალა პირველი და მეორე, წოლია, ქვეკი, ირი, ბაჯისხევი, ნიგვზნარა, ზუტაგი, საკაო, ლაგვანთა, შაქვერი, უშოლთა, ბოყვა, ქორთა, წედისი, მოედანი და სხ.

ქვემო რაჭველებიც გაჭირვებაში არიან; აქაც მიწის სიიწროვეა. 1907 წელს ბუღდუელის და პატარა ონის საზოგადოების მცხოვრებთა ერთი ნაწილი შეეროვდა,—ბოინდრმეს ახეზეთში გადასახლება, თითო მეკოურმა ათი ეაური გამოიღო, აირჩიეს კაცები და ახალ ადგილების მოსანახავად გაგზავნეს.

ნამეტანი მიწის სიიწროვეს განიცდის რაჭის შემდეგი სოფლები: ზნაკვა, 40 კომლი, რომელიც ყველა გადასასახლებელია ადგილის სიიწროვისა და უფარგისობისა გამო. ზემო და ქვემო ოლეული, ხანეთორი, ახალ სოფელი, საკაცია, შავრა, ველევი, ბეოლევი, წკადისი, ჯრიხი, და სხ.

რუსები შუაგულ რუსეთიდან სხვა ადგილებში რომ გადადიან, ათასი პატრონ-მფარველი და გზის მაჩვენებელი ყავთ, კერძო პირები, სხვა და სხვა საზოგადოება, თვითონ მთავრობა ხელს უწყობს მათ და უადგილებს ახალ ადგილების დაკერას... სხვა ერის შვილებსაც ყავთ პატრონები, მხოლოდ ქართველი გლეხი უპატრონოდ არის დატოვებული. ეს უპატრონობა იქამდე მიდის, რომ ქართველი იძულებული ხდება სხვა ქვეყანაში გადვიდეს მშენ, როდესაც მთავრობა შიგ შუაგულ საქართველოში პოულობს ადგილებს რუსების დასახლებლად.

დროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს მთელმა ინტელიგენციამ, დაგვიანება არ შეიძლება, რაგვიანება ბოროტ მოქმედებად ჩაგვთვლება, რადგანაც რუსობა ზღვასავით იწყვა საქართველოსკენ,—ყოველი თავისუფალი ადგილი ქართველებმა უნდა შეარჩინონ, რადგანაც ასეთ ადგილების ქართველების ხელში შერჩენა სამართლიანია და მისი ქართველებისა ხელიდან გამოგლეჯა კი უსამართლოა: ბაა. ეს უსამართლობა თავიდან უნდა ავიცილოთ,—ამ უსამართლობის თავიდან აცილება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საღათას ძილს მიცემული ქართველი ინტელიგენცია გამოფხიზლდება და მხნეა დაადგება ეროვნულ ალორძ ნებას, გაბედულად დაიწყებს ქართველების ეროვნულ ინტერესების დაცვას, შეგნებულად ეცდება შეუწყოს ხელი გლეხობას და ახალ ადგილებში გადასახლებას გაუადვილებს.

თ. ჩ—ძე

ჩემი დღიური

პეტერბურგში ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა, რომელმაც ქართველ მკითხველისათვის შეუშნეველად ჩაიარა, თუმცა სწორედ ჩვენთვის იგი მეტად ჩამაფიქრებელია: სათათბიროს ს.-დემოკრატიულ ფრაქციიდან გავიდა სამი წევრი ს.-დემოკრატები კუზმო, ჩილიკინი და ჩაიდაროვი.

ფრაქციიდან სამ კაცის გასვლა საყურადღებოა იმით, რომ სამივემ გასვლის მიზეზად დაასახელეს ისეთი რამე, რაც ჩვენთვის, ჩვენებურ ს.-დემოკრატების ადგილობრივ ტაქტიკის მცოდნეთათვის, ადვილი გასაგებია და რაიც მემარცხენე პარტიისათვის საკადრისი არ არის.

კუზმო, მაგ. აცხადებს, ფრაქციიდან მივდივარ, რადგანაც ჩემ ეროვნულ ინტერესების დაცვა არ შემიძლია ფრაქციულ დისციპლინის დაურღვევლად, ლიტოველ გლეხის ეროვნულ და ადგილობრივ ინტერესებს ფრაქციის ინტერესებს ვერ ვანაცვალებო.

ჩაიდაროვი ამასვე ამბობს მუსულმანთა ინტერესებზე.

კუზმომ, ჩილიკინმა და ჩაიდაროვმა შესაძლებლად ვერა სცნეს თავიანთ ეროვნულ ინტერესების დაცვა ფრაქციულ დისციპლინის დაურღვევლად. აშკარაა, რომ ფრაქციის ამ ინტერესების დაცვა ან არ სურს ან არ შესძლებია. და ლიტველ ამ ბაჰმადიან ეროვნებათა დაცვა თუ არ სურს ან არ შეუძლია, რად უნდა ვიფიქროთ, რომ მას ესურვება ან შეეძლება დაიცვას ჩვენი, ქართველების, ეროვნული ინტერესები? ხსენებული პირთა ფრაქციიდან გასვლა, განა, არ გვიმტკიცებს ნათლად, რომ ამ ფრაქციისაგან ჩვენთვის შველას არ უნდა ველოდეთ და ჩვენი ინტერესების დასაცავად უნდა მივეკედლოთ სხვა ფრაქციებს, სათათბიროს სხვა ჯგუფებს?

ეროვნულ ინტერესების აბუჩად აგდება ყოველთვის საზარალოდ დარჩენილა ყოველ პოლიტიკურ პარტიისთვის. ამის წინეთ ჰოლლანდიის ს.-დემოკრატებმაც პარლამენტში აიგდეს აბუჩად იქაური ეროვნული ინტერესები. ამ გარემოებამ შეურაცხყო ხალხის ეროვნული გრძნობები და ახალ არჩევნების დროს სოციალისტებს რამდენიმე სადეპუტატო ადგილი დაეკარგა. ამის გამო ახლა ჰოლლანდიის პარლამენტში ცენტრი და მემარჯვენეები უმრავლესობას შეიდგენენ, ახლავე 100 ხმაში 55 ხმა მათია და გამეორებითი კენჭის ყრაში მათ ალბად კიდევ 20 ხმა მიემატებათ.

ეს გარემოება ადვილი ასახსნელია,—ეროვნების დაკარგვას ხალხი სოციალისტურ იდეალებზედ ოცნების დაკარგვას არჩევს და მარტოლა კარგავს მას ყველგან, სადაც სოციალისტური პარტია უკმეხად ეპყრობა ხალხის ეროვნულ გრძნობებს.

აკი ამიტომ სხვა ქვეყნებში სოციალისტები ახლა დიდ „პატრიოტობას“ იჩენენ, მემარჯვენეებთან ერთად მზად არიან იარაღით ხელში ომის ველზე გავიდნენ თავიანთ სახელმწიფოს მტერთა დასამარცხებლად. აკი ამიტომ რუსი ს.-დემოკრატები ვერ ბედავენ სხვა და სხვა ქალთა მოღვაწეების გვარს ვერ ეაცხადებთ ამ ნომერში).

პირველ ნომერში დაიბეჭდება შემდეგი ნაწერმები: „სონამ დილხოში ჩამაგდო“ (ეტიუდი), „ქართული თეატრის ოხრები“ (მეთაური), „პარეენ ლეგონას მაზანდა“ (ბიბლიოგრაფია), „შარავლის პუგეაცა“ (ამბავი), „ახრიზანანი თუთა“ (ლექსი), „დარჩუა წინანაურში“ (რომანი), „წეკზე კოცნა“ (ოპერეტტა), „ბედასლი სეირნობა“ (რეცენზია) „იბრეული ენა“ (ნაკვესი), „ინგალი რეეესორი“ (ლექსი), „თარსი-ფარსი“ (გაკვრით), „თალიში ხახვი“ (ეოდეეილი), „რწყილი ამანოში“ (სცენის მოყვარეთა ცხოვრებიდან), ამრეუკას ფაიტონი“ (განცხადება), „სველი ჩარეკა“ (ეკსპრომტი), „ეშმაკი და თხა“ (ოგავი), „კაკი მეგონე, ვირი ეოფილხარ“ (ფსიხოლოგიური ესკიზი), „ხან აქა ვარ, ხან იქა“ (გამოცანა), „კოდელი ნინუა“ (ტრაგედია).

პირველი ნომერი გამოვა საახალწლოდ 1970 წ. ივ 30 თებერვალს.

ჯერ-ჯერობით ხელის მოწერა მიიღება მე 15 სხმ. ნაწ. ოროსკუდაში, მეოეუზე ავაქს ბაღეტკაში და ხარფუხში მუხაზე კუდაბზაკას რესტორანში.

რედაქცია დროებით მოთავსებულია ბორანზე ნიახურის ქუჩაზე, სტაფილოს შესახვევზე და ვიეესკების კუთხეში.

სახლი წყალობა ჩაიფხანოვისა № 0.

რედაქცია დაა ეოფელდდეკ-დან დადის 3 საათიდან შუადამის 12 საათამდე.

დასაბეჭდი მასალები უსათუოდ შაალიერზე უნდა იყოს დაწერილი ნახშირით.

ხელის მომწერლებს პრემიად დაურიგდებათ „წიწაკის თაიგული“.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება.

რედ.-გამომც. ფირუზ წკიპორტაძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ვთხოვ ყველა იმ პირთ: რომელთაც სურთ საქველმოქმედო მიზნით რამე სერნობა ან წარმოდგენა გამართონ,—მე დიდი სიამოვნებით დავეხმარები რითაც კი შემიძლიან.

ადრესი: გოდოფინის ბროსპექტი (დიდდან სადამდის ქუჩის ბუტკეტნა).

ბ. თავ-ქროლაძე

ᲡᲐᲧᲝᲤᲔᲚᲗᲐᲝᲓ

ეაცხადებ, რომ ოჯახის მოვლისა, შვილების აღზრდისა, სამშობლო ქვეყნის ისტორია-მეწერლობის ცოდნის გარდა, სხვა ყოველივე რეგზე მაქვს. ვეძებ შესაფერ „ეფენიხს“.

ქართველი ქალი.

ᲒᲐᲛᲘᲫᲦᲐ იდეალი, საზოგადო მისწრაფება და თვითგანვითარების უნარი... (აქ ველარ გავარჩიეთ). ქართ. სტუდენტობა.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1910 ᲬᲚ.

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲠᲚᲘᲢᲘᲠᲝ-ᲡᲐᲛᲘᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ-ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲘᲠᲝᲜᲘ-ᲡᲐᲛᲮᲘᲜᲔᲯᲝ-ᲙᲐᲠᲘ-ᲙᲐᲙᲣᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲑᲐᲢᲘᲒᲣᲢ“-ᲘᲡ

„ᲒᲝᲛᲘᲡ ᲯᲝᲯᲝᲚᲔ ᲓᲦᲔ, ᲡᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲔᲠᲗᲘᲡᲔᲚᲘ“ ᲞᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ,—ᲔᲠᲗᲘ ᲗᲝᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲜᲘᲡ—„ᲡᲐᲠᲐ“.

ჯერ-ჯერობით ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ბაკო სოლომონა, ქაჩალ კარაპეტა, ხოლილია სარქისა, ბლუკუნა კირაკუზა, აფჩალია სტეპკო, ლოთაბაზარა ბეჟანა, ზარაფი ვართანა, იავა უსუფა, ნალჩაგარი ფირუზა, პრობკა გარეგინა, არდანჩიკი ტარა, პუპუზ ღაღუა, ხართუთაანთ პაპიკა, ლალაქი ავეტიქა, მიკიტანი სოსანა, ქარაფ-ქანდღოა, დერეკიკი მარქარა, ბაზაზი ჭუკლუკე, სირაჯი ალექოა, მეზურნე ხარატ-გუმბრიან, ყაზაზი ცმუკუა, ბაყალი ჯიმშერი, მესამთლე ჩოტაკუა, დაბაღი ფიწილა, ყასაბი მურაზა.. და სხვანი (უადგილობისა გამო ციოელ დისციპლინის დაურღვევლად, ლიტოველ გლეხის ეროვნულ და ადგილობრივ ინტერესებს ფრაქციის ინტერესებს ვერ ვანაცვალებო.

ჩაიდაროვი ამასვე ამბობს მუსულმანთა ინტერესებზე.

კუზმომ, ჩილიკინმა და ჩაიდაროვმა შესაძლებლად ვერა სცნეს თავიანთ ეროვნულ ინტერესების დაცვა ფრაქციულ დისციპლინის დაურღვევლად. აშკარაა, რომ ფრაქციის ამ ინტერესების დაცვა ან არ სურს ან არ შესძლებია. და ლიტველ ამ ბაჰმადიან ეროვნებათა დაცვა თუ არ სურს ან არ შეუძლია, რად უნდა ვიფიქროთ, რომ მას ესურვება ან შეეძლება დაიცვას ჩვენი, ქართველების, ეროვნული ინტერესები? ხსენებულ პირთა ფრაქციიდან გასვლა, განა, არ გვიმტკიცებს ნათლად, რომ ამ ფრაქციისაგან ჩვენთვის შველას არ უნდა ველოდეთ და ჩვენი ინტერესების დასაცავად უნდა მივეკედლოთ სხვა ფრაქციებს, სათათბიროს სხვა ჯგუფებს?

ეროვნულ ინტერესების აბუჩად აგდება ყოველთვის საზარალოდ დარჩენილა ყოველ პოლიტიკურ პარტიისთვის. ამის წინეთ ჰოლლანდიის ს.-დემოკრატებმაც პარლამენტში აიგდეს აბუჩად იქაური ეროვნული ინტერესები. ამ გარემოებამ შეურაცხყო ხალხის ეროვნული გრძნობები და ახალ არჩევნების დროს სოციალისტებს რამდენიმე სადეპუტატო ადგილი დაეკარგა. ამის გამო ახლა ჰოლლანდიის პარლამენტში ცენტრი და მემარჯვენეები უმრავლესობას შეიდგენენ, ახლავე 100 ხმაში 55 ხმა მათია და გამეორებითი კენჭის ყრაში მათ ალბად კიდევ 20 ხმა მიემატებათ.

ეს გარემოება ადვილი ასახსნელია,—ეროვნების დაკარგვას ხალხი სოციალისტურ იდეალებზედ ოცნების დაკარგვას არჩევს და მარტოლა კარგავს მას ყველგან, სადაც სოციალისტური პარტია უკმეხად ეპყრობა ხალხის ეროვნულ გრძნობებს.

აკი ამიტომ სხვა ქვეყნებში სოციალისტები ახლა დიდ „პატრიოტობას“ იჩენენ, მემარჯვენეებთან ერთად მზად არიან იარაღით ხელში ომის ველზე გავიდნენ თავიანთ სახელმწიფოს მტერთა დასამარცხებლად. აკი ამიტომ რუსი ს.-დემოკრატები ვერ ბედავენ სხვა და სხვა

ᲝᲮ ᲠᲝᲛᲘ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ...

ოხ რომ იცოდეთ როგორ შემძულდა ლაუნდობელი წუთი სოფელი,—
განცვიფრებული, ამხანაგებო,
მანუგეშებდა თქვენში ყოველი

აქ თქვენგან მარად დაშორებულსა
მოწმალული მაქვს სულ მთლათ ჰაერი...
ძალათ იმედით ვაამებ გულსა,
არ მინდა ჩემზე ვაცინო მტერი.

და ველი იმ დროს, როს მეგობრებთან
მეც კვლავ მეკნება კავშირი ძმური,
მაგრამ ვაი თუ მთლათ არ მოისპოს
და კიდევ დარჩეს მტრობა და შური!?.

ქნარი.

ᲧᲣᲠ-ᲛᲘᲛᲙᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

(„ᲒᲝᲛᲓᲝᲤᲘᲜᲘᲡ ᲑᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“)

— ᲮᲓᲠᲐᲕᲘᲡᲢᲣᲗᲣᲢᲣ, ᲔᲚᲘᲩᲐ,
ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ ᲓᲣᲨᲘᲩᲙᲐ?
ᲕᲘᲡᲘᲠᲜᲘᲗᲝᲗ ᲩᲐᲡᲐ ᲓᲔᲐ
ᲓᲐᲛᲘᲗᲐᲜᲮᲛᲘᲗ ᲒᲔᲜᲐᲪᲘᲐ.
— ᲘᲐ ᲜᲔ ᲞᲘᲠᲓᲣ, ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲠᲝ,
ᲓᲐᲛᲔᲮᲡᲜᲔᲜ ᲒᲗᲮᲛᲘᲗ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ,
ᲣᲕᲔᲠᲘᲐᲘᲝᲕ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲘᲪᲔᲛᲡ
ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲚᲝᲛᲗᲐᲜᲔ ᲒᲐᲛᲘᲪᲔᲛᲡ.
— ᲜᲔᲗᲐᲕᲘ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ?
ᲑᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲔᲠᲐ ᲓᲐᲕᲚᲐ?
ᲜᲐ ᲩᲩᲝᲗ ᲩᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲣᲛᲐᲗ
ᲠᲐᲡ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲡ ᲩᲘᲗᲝ ᲛᲐᲗ?
— ᲛᲐᲨ ᲛᲝᲕᲐᲚ ᲒᲔᲜᲐᲪᲘᲐᲚᲗᲐ,
ᲗᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲘᲬᲣᲚᲘᲗ ᲛᲐᲚᲔᲗ,
ᲐᲗᲝ ᲓᲛᲘᲠᲗᲡ ᲒᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘ,
ᲙᲠᲔᲙᲐᲛ ᲛᲘᲕᲘᲑᲔᲒᲔᲑᲘ.
— ᲜᲔ ᲑᲝᲜᲘᲡᲐ ᲒᲔᲜᲐᲪᲘᲐ,
ᲯᲔᲠ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲠᲔ;
ᲩᲔᲛᲘ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲑᲘᲚᲝᲛ
ᲩᲩᲝᲗ ᲣᲬᲜᲐᲔᲗ ᲛᲐᲛᲘᲚᲝᲛ?
— ᲐᲮ ᲗᲘ ᲒᲘᲒᲝᲗ ᲔᲛᲨᲐᲙᲐ
ᲔᲛᲨᲘᲡᲖᲔ ᲒᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐᲛ?
ᲛᲐᲨ ᲞᲝᲛᲝᲓᲛ ᲒᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ
ᲩᲐᲒᲔᲙᲘᲡᲗᲛ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ.

გრი—გრი

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲠᲗ.

მ. ხ.

ბ-ნო რედაქტორო!

დ. ყვირილის მცხოვრები გვაქვს სასაფლაოზედ ეკლესია. აგერ რამოდენიმე წელიწადია ამ ეკლესიაზედ წირვა-ლოცვა არ სრულდება და თვითონ სასაფლაოც შემოულობავია, რომელიც პირუტყვების ბუნაგათ ქცეულა. ამ სასაფლაოს შემოსაღალი დაარსებიდგან აღემატება 4000 მან., რომლის ანგარიში საზოგადოებამ არ იცის დღემდის. ყველა დარწმუნდება, რომ ამ ფულითი სასაფლაოს შემოღობა არ არის გასაკირი, მაგრამ ეს არ ნებავს მამა დეკანოზ დ. ღამბაშიძეს, რომლის მღვდელიც თვითონ ნარევდება. ამ საქმის შესახებ გვქონდა საჩივარი იმერეთის ყოველად სამღვდელო მღვდელმთავართან და ეს საქმეები აქვს გადაცემული ბლაღოჩინ მღვდელს მამა ლავრენტი ფეტრაძეს. აგერ თითქმის მესამე წელიწადია ამ საქმის შესახებ არაფერი განკარგულება არ არის, რომელსაც დიდის სიხარულით მოელოდა ხალხი და ეხლა კი ვიჩენით იმედ გაცრუებული.

ესთხოვთ მამა ფეტრაძეს გვაცნობოს გაზეთის საშუალებით მიზეზი საქმის დაგვიანებისა. გვიკვირს, რომ სიმართლე ხალხის ანუ საზოგადოებისა ფეხ ქვეშ ითელება.

ამასთანავე ესთხოვთ მამა დეკანოზ ღამბაშიძეს, მანაც გვაცნობოს გაზეთის საშუალებით საქმის ვითარება, თუ სად ინახება ეს სასაფლაოს ანგარიში, რომელიც შამოდიოდა დღემდის და დღესაც შამოდის. ეს საჭიროა მით უმეტეს პირადთ მ. დეკანოზ ღამბაშიძისათვის, რომ საზოგადოებას აქვს ექვი ამ ფულების ანგარიშის მიუცემლობისა.

ერთი წევრთაგანი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲜᲘ“ ᲓᲐ „ᲞᲐᲚᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ“ Ე. ᲗᲐᲕᲐᲜᲘᲡᲒᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ორივე აქ აღნიშნული თხზულება კარგად გადავთვალიერეთ. მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე იმან, რომ ამ გამოცემებში შეუნდობელი შეცდომები ვნახეთ. პალეოგრ. ალბომში ერთი სტრიქონი ორჯელ დაუბეჭდიათ (გვ. 9—10). მეორე სიგელის ხელისმოწერას ჩვენ ასრე ვკითხულობთ: „ქ. (მეფეთ მეფისა დავითი) სა ნებისაითა ღუთისაითა“. ნამდვილად კი ამ უმართლობის მაგიერ ალბომში იკითხება მხოლოდ ეს: „ქ. მტკიცეა ნებითა ღუთისაითა“. პირველი სიტყვა (მტკიცეა) თუმცა დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთი ასოს გადარჩენილი თავბოლო, ხელგაკრულობის თვისება და თვით დაზიანებულ ადგილის სიგრძე სიგანე ცხადად გვიჩვენებს, რომ აქ მოთავსებული ყოფილა მხოლოდ „მტკიცეა“- არის კიდევ ამგვარი შეცდომები:

სამკუდრებელსა (გვ. 2, სტ. 2) სამკუდრებელსა ქედს (გვ. 4, სტრ. 4) ქედსა ზარდახანისა ჩუენისა (გვ. 7) ზარდახანის ჩუ(ენის) დიესა (ალბ. გვ. 6, სტრ. 3) დღესა.

ამდენი უყურადღებობა სულ ორს სიგელში!

გამომცემლების „ოთხმაზურთა“-ს (გვ. 7) ჩვენ ვ ითხულობთ ოთახმიზდურთა-დ და ამას ვუტოლებთ ალბომშენებლის ბამის გიორგის დროიდელ ხელისუფლობას **უთალუობას**.

არც ხელმომჭირნეობა სჩანს. რა საჭირო იყო თითქმის მთელის გვერდების მოცდენა იმით, თუ წინათ ვის როგორ წაეკითხნა ესა და ის სიტყვა. თქვენ გამოეცით ისე, როგორც დედანშია, და დანარჩენს მკვლევარნი გაკეთებენ.

მიუხედავად ამ და ზოგიერთი სხვა ნაკლულოვანებისა ორივე წიგნს ჩვენ ვცნობთ ძვირფას შეძენილობად ყველა იმათვის, რომელთაც საქართველოს წარსული შესწავლა ეპრიანებათ, მისი ბედ-ღობალი აწუხებთ.

ე. ი.

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ი. ხერხეულიძე.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

ამას წინეთ „ზაკავკაზიე“-ᲛᲘ ჩვენს წინააღმდეგ იმოწვა ვაზ. „ჩვენი აზრი“. ახლა ეს უკანასკნელი გაზეთი აი რასა სწერს „ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲔ“-ᲖᲔ:

„სულმა სული იცნო და „ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲔ“-ᲛᲘ თავის მებობარი ᲓᲐᲛᲘᲛᲔᲑᲔᲓᲐ. ეს მეგობარი ა— „ᲒᲝᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲔ“ და ᲛᲐᲜᲘᲜ ᲛᲘᲡᲜᲔ. ჩვენ დიდინანია ვიცოდით, რომ „ᲖᲐᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲔ“-Ს ᲮᲔᲚᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲔ“-Ს ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐᲠ, რომ ისინი განარჩენდენ მათგან მხოლოდ, როგორც დანაგრეულ ერის წევრნი და ᲐᲮᲘᲪᲛᲘᲗ ძალას მოკლებულნი, იქ, სადაც „ᲒᲝᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲔ“ და ᲛᲐᲜᲘᲜ ᲛᲘᲡᲜᲔ ᲤᲐᲠᲒᲣᲨᲘᲗᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ Ვ ᲠᲐᲡ ᲐᲬᲘᲜᲘᲗ. ᲐᲮᲚᲐ კი იგი გულახდილად აღიარებს, ჩვენ რომ არ ᲒᲐᲒᲕᲘᲜᲔᲑᲓᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲕᲘᲗᲘᲠᲔᲑᲓᲘᲗ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲫᲨᲛᲘᲠᲘᲢᲝᲠᲘᲡ“ აღიარება შეუძლებელია“.

ეს ამოგწერეთ იმიტომ კი არა, ვითომც ჩვენც ვეთანხმებოდეთ „ჩვენ აზრს“, არაფერ ამისათვის, რომ დავამტკიცოთ, თუ რა საშიშია სხვის დასამარცხებლად მოწონაალმდეგე გაზეთის მოწმობა...

ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲠᲗ.

მ. ხ.

ბ-ნო რედაქტორო!

დ. ყვირილის მცხოვრები გვაქვს სასაფლაოზედ ეკლესია. აგერ რამოდენიმე წელიწადია ამ ეკლესიაზედ წირვა-ლოცვა არ სრულდება და თვითონ სასაფლაოც შემოულობავია, რომელიც პირუტყვების ბუნაგათ ქცეულა. ამ სასაფლაოს შემოსაღალი დაარსებიდგან აღემატება 4000 მან., რომლის ანგარიში საზოგადოებამ არ იცის დღემდის. ყველა დარწმუნდება, რომ ამ ფულითი სასაფლაოს შემოღობა არ არის გასაკირი, მაგრამ ეს არ ნებავს მამა დეკანოზ დ. ღამბაშიძეს, რომლის მღვდელიც თვითონ ნარევდება. ამ საქმის შესახებ გვქონდა საჩივარი იმერეთის ყოველად სამღვდელო მღვდელმთავართან და ეს საქმეები აქვს გადაცემული ბლაღოჩინ მღვდელს მამა ლავრენტი ფეტრაძეს. აგერ თითქმის მესამე წელიწადია ამ საქმის შესახებ არაფერი განკარგულება არ არის, რომელსაც დიდის სიხარულით მოელოდა ხალხი და ეხლა კი ვიჩენით იმედ გაცრუებული.

ესთხოვთ მამა ფეტრაძეს გვაცნობოს გაზეთის საშუალებით მიზეზი საქმის დაგვიანებისა. გვიკვირს, რომ სიმართლე ხალხის ანუ საზოგადოებისა ფეხ ქვეშ ითელება.

ამასთანავე ესთხოვთ მამა დეკანოზ ღამბაშიძეს, მანაც გვაცნობოს გაზეთის საშუალებით საქმის ვითარება, თუ სად ინახება ეს სასაფლაოს ანგარიში, რომელიც შამოდიოდა დღემდის და დღესაც შამოდის. ეს საჭიროა მით უმეტეს პირადთ მ. დეკანოზ ღამბაშიძისათვის, რომ საზოგადოებას აქვს ექვი ამ ფულების ანგარიშის მიუცემლობისა.

ერთი წევრთაგანი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲫᲕᲔᲚᲔᲜᲘ“ ᲓᲐ „ᲞᲐᲚᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ“ Ე. ᲗᲐᲕᲐᲜᲘᲡᲒᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ორივე აქ აღნიშნული თხზულება კარგად გადავთვალიერეთ. მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე იმან, რომ ამ გამოცემებში შეუნდობელი შეცდომები ვნახეთ. პალეოგრ. ალბომში ერთი სტრიქონი ორჯელ დაუბეჭდიათ (გვ. 9—10). მეორე სიგელის ხელისმოწერას ჩვენ ასრე ვკითხულობთ: „ქ. (მეფეთ მეფისა დავითი) სა ნებისაითა ღუთისაითა“. ნამდვილად კი ამ უმართლობის მაგიერ ალბომში იკითხება მხოლოდ ეს: „ქ. მტკიცეა ნებითა ღუთისაითა“. პირველი სიტყვა (მტკიცეა) თუმცა დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთი ასოს გადარჩენილი თავბოლო, ხელგაკრულობის თვისება და თვით დაზიანებულ ადგილის სიგძე სიგანე ცხადად გვიჩვენებს, რომ აქ მოთავსებული ყოფილა მხოლოდ „მტკიცეა“- არის კიდევ ამგვარი შეცდომები:

სამკუდრებელსა (გვ. 2, სტ. 2) სამკუდრებელსა ქედს (გვ. 4, სტრ. 4) ქედსა ზარდახანისა ჩუენისა (გვ. 7) ზარდახანის ჩუ(ენის) დიესა (ალბ. გვ. 6, სტრ. 3) დღესა.

ამდენი უყურადღებობა სულ ორს სიგელში!

გამომცემლების „ოთხმაზურთა“-ს (გვ. 7) ჩვენ ვ ითხულობთ ოთახმიზდურთა-დ და ამას ვუტოლებთ ალბომშენებლის ბამის გიორგის დროიდელ ხელისუფლობას **უთალუობას**.

არც ხელმომჭირნეობა სჩანს. რა საჭირო იყო თითქმის მთელის გვერდების მოცდენა იმით, თუ წინათ ვის როგორ წაეკითხნა ესა და ის სიტყვა. თქვენ გამოეცით ისე, როგორც დედანშია, და დანარჩენს მკვლევარნი გაკეთებენ.

მიუხედავად ამ და ზოგიერთი სხვა ნაკლულოვანებისა ორივე წიგნს ჩვენ ვცნობთ ძვირფას შეძენილობად ყველა იმათვის, რომელთაც საქართველოს წარსული შესწავლა ეპრიანებათ, მისი ბედ-ღობალი აწუხებთ.

ე. ი.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲑᲗ. „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“-ᲡᲐ, ᲛᲐᲓᲐᲗᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘ 1, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ. № 953